ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №150

ქ. ქუთაისი 9 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ შპს „ტყეშე" ს/კ 412721997 წარმოდგენილი დირექტორის ჯემალი ტყეშელაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების", #1 ფილიალში შიდა საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა , მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. # 6 ფილიალში შიდა საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა , მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. #8 ფილიალში გარე საკანალიზაციო 5 ჭის გაწმენდა და სარდაფში ჩამოყრილი საკანალიზაციო სისტემის აღდგენა და გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 250(ორასორმოცდაათი) ლარს. #11 ფილიალში გარე საკანალიზაციო 4 ჭის გაწმენდა, მომსახურების ხელშეკრუელბა შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს. #23 ფილიალში გარე საკანალიზაციო 3 ჭის და შიდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი ლარს) #25 ფილიალში შიდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. **CPV 90470000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 590 (ხუთასოთხმოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების #1 ,6, 8, 11, 23 და 25 ფილიალები.

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება

მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ#3
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396
ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი:
ნანა ლორთქიფანიძე

მიმწოდებელი:
შპს „ტყეშე'

მის.: ქ. ქუთაისი, სერგო მესხის #45
საიდენტიფიკაციო კოდი 412721997
ა/ა GE58LB0113183291476000
ლიბერთი ბანკი

დირექტორი:
ჯემალი ტყეშელაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი 14 ნოემბერი 2016წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ შპს „ტყეშე“ ს/კ 412721997 წარმოდგენილი დირექტორის ჯემალი ტყეშელაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება”, წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით(ს/ნ 412675396)მის: ქ.ქუთაისი რუსთაველის №3) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 9 ნოემბრის №150-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შემსყველის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინა, ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ #1 ფილიალში შიდა საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა , მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. # 6 ფილიალში შიდა საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა , მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. #8 ფილიალში გარე საკანალიზაციო 5 ჭის გაწმენდა და სარდაფში ჩამოყრილი საკანალიზაციო სისტემის აღდგენა და გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 250(ორასორმოცდაათი) ლარს. #11 ფილიალში გარე საკანალიზაციო 4 ჭის გაწმენდა, მომსახურების ხელშეკრუელბა შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს. #23 ფილიალში გარე საკანალიზაციო 3 ჭის და შიდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი ლარს) #25 ფილიალში შიდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა, მომსახურების ღირებულება შეადგენს 60(სამოცი) ლარს. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 590 (ხუთასოთხმოცდაათი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

ჯემალი ტყეშელაშვილი ნანა ლორთქიფანიძე